საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	88	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი : 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნოდარ პაპუკაშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის უაღრესად პატიოსანი და საქმისადმი ერთგული ადამიანი, პიროვნულად და პროფესიულად კეთილსინდისიერი პიროვნება. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ნოდარ პაპუკაშვილი არის კანონმორჩილი მოქალაქე.

ნოდარ პაპუკაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ქონებრივ დეკლარაციაში გარკვეულ უზუსტობებთან დაკავშირებით, კანდიდატმა აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს მის მიერ შევსებულ დეკლარაციაში გარკვეული სახის შეცდომებს, რის მიზეზადაც დეკლარაციის პირველად შევსება დაასახელა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ნოდარ პაპუკაშვილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მას არაერთხელ მიუღია პრინციპული გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გასაზრდელად, კანდიდატი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება მედიის საშუალებით დასრულებულ საქმეებთან

დაკავშირებით მეტი ინფორმაციის გაშუქება, კანდიდატს კრიტიკული მოსაზრებები არ გამოუთქვას სასამართლოს სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

ნოდარ პაპუკაშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ნოდარ პაპუკაშვილის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება ქცევის მაღალ სტანდარტს. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ რომ კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, კოლეგიალურობით, ადეკვატურობით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ნოდარ პაპუკაშვილის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატი მონაწილეობდა მოპასუხედ 2 სამოქალაქო საქმეში, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა თანხის გადახდის დაკისრება და ზიანის ანაზღაურება. პირველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი, ხოლო მეორე შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ნოდარ პაპუკაშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად, რომელიც სარგებლობს პატივისცემით კოლეგებში, პროფესიულ და აკადემიურ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ნოდარ პაპუკაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ნოდარ პაპუკაშვილმა საჯარო მოსმენის პროცესზე განმარტა დემოკრატიული წესწყობილების კონსტიტუციური პრინციპის არსი, ისაუბრა დემოკრატიასთან დაკავშირებით ფილოსოფიურ დოკუმენტებში, მათ შორის ნიკოლო მაკიაველის „მთავარში" მოცემული შეხედულებების ირგვლივ. კანდიდატმა ჩამოთვალა ყველა ის აუცილებელი ელემენტი, რაც საჭიროა დემოკრატიული მმართველობის განხორციელებისთვის. ასევე, კანდიდატმა ისაუბრა რეფერენდუმზე და ჩამოთვალა ის საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც დაუშვებელია რეფერენდუმის ჩატარება. კანდიდატმა ასევე განმარტა განსხვავება პლებისციტსა და რეფერენდუმს შორის. ტერიტორიული მთლიანობის არქონის საფუძვლით რეფერენდუმის ჩატარებაზე პრეზიდენტის უარი, კანდიდატის აზრით არასწორია.

კანდიდატმა ისაუბრა ბუნებით და პოზიტიურ სამართალზე, მოიხმო პოზიტივისტებისა და ბუნებითი სკოლის წარმომადგენელთა არგუმენტები და შეხედულებები. კანდიდატმა აღნიშნა, რომ ამ ორ სკოლას შორის დაპირისპირების მთავარი საფუძველი იყო მორალი და მორალური შეხედულება კანონზე. კანდიდატმა ისაუბრა რწმენისა და აღმსარებლობის თაობაზე, ხაზი გაუსვა კონსტიტუციის ძველი და ახალი რედაქციის ჩანაწერებს შორის განსხვავებას, თუმცა კანდიდატის მსჯელობა პროზელიტიზმთან დაკავშირებით არ იყო დამაკმაყოფილებელი, კანდიდატმა ვერ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ ნოდარ პაპუკაშვილს სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. იგი ამჟამად არის თბილისის ღია უნივერსიტეტის სრული პროფესორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ასევე, კანდიდატი არის სააქციო საზოგადოება „გუდვილის" რეაბილიტაციის მმართველი. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ნოდარ პაპუკაშვილი მაღალი რანგის იურისტია, რომელსაც განხილული აქვს ბიზნეს სუბიექტებს შორის 1000-მდე დავა. რეკომენდატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კანდიდატი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი, როგორც არბიტრი, საუკეთესოდ ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას. ამასთან, კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი ლოგიკური აზროვნებითაცაა გამყარებული. გასაუბრების პროცესზე, კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მათ შორის, ევთანაზიის პრობლემატიკაზე, ღირსების არსზე, ღირსების დაცვის უფლებაზე. მან მოიხმო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც აღწერილია ღირსების შემლახველი მოპყრობა, მათ შორის ბრალდებულების „საპატიმრო გალიებში" მოთავსება სასამართლო სხდომებზე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა ცალკეულ შემთხვევებში ზოგადი ხასიათის იყო და ნათლად არ იკვეთებოდა საკითხის კონკრეტული გადაწყვეტა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების *,,ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"* შესახებ კანდიდატის მსჯელობა იყო ზოგადი ხასიათის, კერძოდ, კანდიდატმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საკონსიტუციო სასამართლო დიდი ალბათობით დაეყრდნო ნების თავისუფალი განვრცობის თეორიას, რის გამოც, საკითხის არსებულ გადაწყვეტაში პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა კანდიდატს საკუთარი პოზიცია მკაფიოდ არ გამოუხატავს.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი: ნოდარ პაპუკაშვილმა წარმოადგინა სამეცნიერო პუბლიკაცია სახელწოდებით „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა". კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ნოდარ პაპუკაშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად. კანდიდატი ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს.

ნოდარ პაპუკაშვილმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის დინჯად მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაზიარების შესაძლებლობა. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. რეკომენდატორები კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს მაღალ შეფასებას აძლევენ.

პროფესიული თვისებები: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ნოდარ პაპუკაშვილის პროფესიულ თვისებებს აფასებენ დადებითად. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი არის პრინციპული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნება, რომელიც მკაცრად იცავს კონფიდენციალურობის მოთხოვნებს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივ საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის შემდეგ ტრენინგებში: გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების გამოწვევები, გადახდისუუნარობის მმართველთა ტრენინგი, უკრაინის საპარლამენტო არჩევნები (კიევი), უსაფრთხოება და ბიოტერორიზმი (აშშ) და სხვ.

2006 წელს კანდიდატს მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნოდარ პაპუკაშვილი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, კანდიდატი არის თბილისის ღია უნივერსიტეტის სრული პროფესორი, კითხულობს ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, მუნიციპალური სამართალი, საკონსტიტუციო სამართალწარმოება და ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ამასთან, ნოდარ პაპუკაშვილს გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო სტატია. კანდიდატი არის თანაავტორი სახელმძღვანელოებისა: „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, პირველი კრებული, 1999 წ., „მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები“, ცნობარი - ნაწილი პირველი, 2001 წ.

ნოდარ პაპუკაშვილი 2018 წლიდან არის „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა“ ასოციაციის დამფუძნებელი/წევრი, ხოლო 2015 წლიდან „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 88 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა- 22 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 22 ქულა;

2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 18 ქულა:

2.4. პროფესიული თვისებები - 13 ქულა;

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 8 ქულა;

2.6. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021